პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 1942 წ. № 279 (6595). ფასი 15 კაპ.

## უკანასკნელი საათი

# ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

24 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადთან განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას. ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის უბანზე ჩვენმა ჯარებმა 40 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი და სადგური სუროვიკინო. დონის მოსახვევის რაიონში ჩვენმა ჯარებმა 6-10 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ზიმოვსკი, კამიშინკა, ბლიუნაია პერეკოპკა, ტრიოხოსტროვსკაია, სიროტინსკაია. კლეტსკაიას სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მიერ ტყვედ წამოყვანილია მტრის წინათ გარშემორტყმული 3 დივიზია, 3 გენერლისა და მათი შტაბების მეთაურობით. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სტალინგრადის ჩრდილოეთით უტევენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ტომილინი, აკატოვკა, ლატოშანკა და ვოლგის ნაპირას შეუერთდნენ იმ ჯარებს, რომლებიც სტალინგრადის ჩრდილოეთ ნაწილს იცავენ. სტალინგრადის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა 15-20 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი სადოვოე და დასახლებული პუნქტები უმანცევო, პერეგრუზნი.

24 ნოემბრის დამლევისათვის ტყვეთა რაოდენობა 12 ათასი კაცით გადიდდა. სულ ბრძოლების განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია მტრის 36.000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

არასრული ცნობებით, 19-დან 24 ნოემბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დავლა: ყველა ყალიბის ქვემეხი—1.164, ვარგისი და უწესივრო ტანკი—431, ვარგისი და უწესივრო თვითმფრინავი—88, ავტომანქანა—3.940, ცხენი—5.000-ზე მეტი, 3 მილიონი ყუმბარა, 18 მილიონი ვაზნა, დიდძალი ხელის იარაღი, საწყობები საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად, რომელთა აღრიცხვაც სწარმოებს.

24 ნოემბრის განმავლობაში მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 15.000-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

# შეტევა გრძელდება

წითელი არმიის მამაცი ნაწილები განაგრძობენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებას. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება ახალ წარმატებას, რაც მიღწეულია სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით წარმოებულ ბრძოლებში. 23 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას, ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით გაიარეს 10-20 კილომეტრი და დაიკავეს ქალ. ჩერნიშევსკაია, ქალ. პერელაზოვსკი და დაბა პოგოდინსკი. სტალინგრადის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 15-20 კილომეტრით და დაიკავეს ქალ. ტუნდუტოვო და ქალ. აქსაი. 23 ნოემბრის დამლევისათვის ტყვეთა რაოდენობა 11.000 კაცით გადიდდა. წამოღებულია აგრეთვე დიდძალი დავლა. მტერმა 23 ნოემბრის განმავლობაში 12.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

წითელი არმია თანმიმდევრობითი დარტყმებით ფუშავს ჰიტლერის გეგმებს. მან ამას წინათ კვლავ გამოაცხადა — სტალინგრადს დავიპყრობო. ის ემზადებოდა იმისათვის, რომ ზამთარი მყუდროდ გაეტარებინათ დონის ვაკეებზე. წითელმა არმიამ გააცამტვერა ჰიტლერის ოცნებანი და მოსპო ჰიტლერის ილუზიები. ჰიტლერულმა არმიამ, მრავალი თვის ბრძოლებში ქანცგამოლეულმა, სტალინგრადთან სისხლისაგან დაცლილმა, ვერ გაუძლო თავზარდამცემ დარტყმას. ჰიტლერელთა ყოველ ღონისძიებას ამსხვრევდა გმირული სტალინგრადის დამცველთა რკინისებური სიმტკიცე. ახლა კი მათ მუსრავს რკინისებური წითელარმიული მიწოლა.

წითელი არმია ათავისუფლებს დონის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. გერმანელებმა დონის ველები თავიანთ „სასიცოცხლო სივრცედ" გამოაცხადეს. ისინი ანგარიშობდნენ „დაპყრობილ" კილომეტრებს. მათ მიიღეს თავიანთი „სიკვდილის სივრცე". ახლა ისინი უკანდახევისას ზომავენ საბჭოთა მიწის კილომეტრებს, რომელიც ფაშისტური სიბილწის სასაფლაო გახდა.

საბჭოთა ადამიანები განთავისუფლებულ ადგილებში სიხარულით ხვდებიან წითელ არმიას. მრავალი უბედურება ნახეს მათ ფაშისტური კაბალის ამ თვეების განმავლობაში. მრავალი წამება და დამცირება განიცადეს. მაგრამ მათ თავიანთი განთავისუფლების რწმენა არ დაუკარგავთ, იცოდნენ, რომ წითელი არმია მოვიდოდა, რომ ისინი კვლავ იხილავდნენ სინათლეს, რომ ისინი კვლავ იქნებოდნენ თავისიანებთან, ახლობელ ადამიანებთან, საბჭოთა ოჯახში, რომ გერმანელი ჯალათები სიცოცხლით, თავიანთი შავი სისხლით აგებდნენ პასუხს წმინდა, კეთილშობილური საბჭოთა სისხლისათვის.

საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების ამბავი ფართოდ მოედება ყველა ადგილს, სადაც ფაშისტურ მონობაში ჯერ კიდევ იტანჯებიან საბჭოთა ადამიანები. ვერ დამალავენ ამას ფაშისტი მტარვალები. ყველა ზღუდეს გაატანს სიმართლე საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის შესახებ, წითელი არმიის შეტევის შესახებ, გერმანელთა გაქცევის შესახებ. ეს ახალ ძალას, ახალ მამაცობას შეჰმატებს ჩვენი განაწამები ძმებისა და დების გულს. მოითმინეთ, საყვარელნო! იბრძოლეთ გაორკეცებული ენერგიით! ის, რაც დონზე მოხდა, ყველგან მოხდება.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერული სიბილწისაგან".

სრულდება სტალინის სიტყვა. წითელი არმია სწმენდს დონის ველებს ჰიტლერული სიბილწისაგან. შორს არ არის ის დღე, როცა წყეული ფაშისტების ჭაჭანებაც კი არ იქნება საბჭოთა ველებზე, და კვლავ აყვავდება იქ მიწა თავისუფალი, სასიხარულო, ბედნიერი შრომით.

დიდება მშობლიურ წითელ არმიას! დიდება მის გმირობას, უსაზღვრო გაბედულებას, ბოლშევიკურ უშიშრობას!

დიდება წითელი არმიის ოსტატობასაც! შეტევა გვიჩვენებს, რომ ბევრი რამე ისწავლეს მებრძოლებმა და მეთაურებმა ომის ერთი წლის განმავლობაში. „წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებსაც წინათ არა ჰქონდათ საკმაო საომარი გამოცდილება, ისწავლეს ნამდვილად ურტყან მტერს, მოსპონ მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ჩაშალონ მტრის განზრახვები, მტკიცედ დაიცვან ჩვენი ქალაქები და სოფლები უცხოელ დამპყრობელთაგან" (სტალინი).

ტყუილად არ ჩაუვლია მოწოდებას ესწავლათ, დაუფლებოდნენ თავის საქმეს, გამხდარიყვნენ თავისი საქმის ოსტატები. ბრძოლებში გამოიწრთო წითელი არმია, მან გამოზარდა შესანიშნავი მეთაურები, რომლებიც დაუფლებული არიან ჯარების წინამძღოლობის ოსტატობას.

სამამულო ომი განუწყვეტლივ წარმოშობს გმირებს, დიდი, მხურვალე გულის, ფხიზელი და მახვილი გონების, გამჭრიახი თვალის, მტკიცე ხელის ადამიანებს. მათი საგმირო საქმეებისათვის, დედა-სამშობლოსადმი დედაშვილური ერთგულებისათვის აჯილდოებს მათ ხალხის სახელით საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირის გმირის უაღრესად საპატიო წოდებით.

„პრავდა" აქვეყნებს დღეს სამშობლოს 13 მამაცი შვილის სიას, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის და ნაწილების საბრძოლო მომზადების, საფრენოსნო-ტექნიკური შემადგენლობის კადრების მომზადებისა და მოქმედი არმიის საავიაციო საჭურვლითა და საომარი მასალით უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია სახელოვანი საბჭოთა მეომრების დიდი ჯგუფი.

სიხარულით არის აღსავსე მთელი საბჭოთა ქვეყანა, როცა კითხულობს და ისმენს ამბებს წითელი არმიის შეტევის შესახებ, რომელიც გრძელდება, ამბებს ჰიტლერელთა ურდოებისათვის ახალი და ახალი დარტყმების შესახებ. სულ ორ კვირაზე ცოტათი მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ითქვა და ყოველ საბჭოთა ადამიანს ღრმად ჩასწვდა გულში ამხანაგ სტალინის სიტყვები: „შორს არ არის ის დღე, როცა მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!"

და აი, დადგა ეს სასურველი არაშორი დღე. მტერმა უკვე იგემა წითელი არმიის პირველი დარტყმების ძალა. იგი იგემებს შემდეგი დარტყმების ძალასაც. და თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, თუმცა კიდევ მოგველის შეუპოვარი ბრძოლა და ეჭვი არ არის, რომ გერმანელი დამპყრობნი კიდევ მიმართავენ ახალ ავანტიურებს, მაგრამ სადღესასწაულო განწყობილებით შეხვდა ყველა საბჭოთა ადამიანი ცნობას სტალინგრადთან გერმანელთა დამარცხების შესახებ.

ფართო ტალღად მოდის საბჭოთა ხალხის გამოხმაურება წითელი არმიის წარმატებათა გამო. მხურვალედ, მთელი სულითა და გულით მიესალმებიან საბჭოთა ადამიანები თავიანთ წითელ არმიას. და მარტო მისალმების სიტყვებს როდი უგზავნიან ისინი მას. საბჭოთა ხალხის კეთილშობილურ ტრადიციებში შევიდა—საწარმოო აღმავლობით უპასუხონ სასიხარულო ამბებს, წარმატებებს, საგმირო საქმეებს. უფრო ძლიერ დავარტყათ მტერს ფრონტზე, უფრო ძლიერ დავარტყათ ჩაქუჩი ზურგში!

მშრომელნი წითელი არმიის წარმატებებს უპასუხებენ დაპირებით, რომ უფრო უკეთ იმუშავებენ, კიდევ უფრო გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, მტერზე გამარჯვებისათვის საჭირო პროდუქციას მეტი რაოდენობით მისცემენ ფრონტს. წითელი არმია მიდის წინ, ზურგო — არ ჩამორჩე! ამ საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანების დღეებში, როცა მთელი ჩვენი ფიქრებით ფრონტზე მყოფ ჩვენს მშობლიურ ადამიანებთან ვართ, არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კაცი ქარხნებსა და შახტებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში.

მოსკოვში სტალინის სახელობის სახელოსნოთა საქვაბო საამქროში მექვაბე ტ. ვ. კრაშენინიკოვი, რომლის შვილი ფრონტზე იბრძვის, ქურასთან ამბობდა:

— როცა ფრონტიდან ასეთი ამბები მოდის, ხელები თვითონ ეტანებიან სამუშაოს, არა სურთ ვალში დარჩნენ. ჩვენს გმირებს — სტალინგრადის ფრონტის მებრძოლებს ჩვენ ასე ვუპასუხებთ: 25 ნოემბრისათვის წლიური გეგმის ანგარიშში რემონტიდან გამოვუშვებთ უკანასკნელ ორთქლმავალს. ხოლო ის, რასაც დარჩენილ დღეებში გავაკეთებთ, ჩვენი გმირებისადმი მიძღვნილი საჩუქარი იქნება.

ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. ლუკინი, მეჩარხე ნიკოლოზ კრიჩაგინი ამბობდა:

— დაე იცოდნენ ბილწმა ფაშისტებმა, რომ წითელ არმიასთან ერთად შეტევაზე მიდის მთელი მუშათა კლასი, მთელი საბჭოთა ქვეყანა. ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. ვასილიევი, ხარატმა ამხ. პეტროვმა სთქვა:

— ვიმუშავებთ ისე, რომ წითელმა არმიამ სტალინგრადთან მიტანილი იერიშები გერმანელი ოკუპანტების სრულ განადგურებად გადააქციოს.

იმ ღამეს, როცა მოვიდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა შეტევის შესახებ, ყველგან უფრო უკეთ, უდიდესი აღფრთოვანებით მუშაობდნენ. ქარხანაში, რომლის დირექტორიც არის ამხ. ეფენდიევი, ოთხი საათის განმავლობაში მუშებმა 20 პროცენტით მეტი ყუმბარები დაამზადეს.

შეტევა გრძელდება. გაგრძელდება ეს პატრიოტული აღფრთოვანებაც ჩვენი ქვეყნის საწარმოებში. დაე, ფრონტისა და ზურგის მონოლიტური ერთიანობა გამოიხატოს ერთიანი შეტევით — წითელი არმიისა მტერზე, ყველა მშრომელისა—თავის წარმოებაში ისე, რომ ზურგი მთელი ძალებით, მთელი საშუალებებით, ტანკებითა და ქვემეხებით, სურსათითა და საომარი მასალებით დაეხმაროს თავის წითელ არმიას.

დიდება ჩვენს წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

„პრავდის" მოწინავე, 24/XI.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. სამოილოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეთაურო თანამდებობებზე 50 წლის განუწყვეტელი სამსახურისათვის და წითელი არმიის სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სამოილო დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1942 წ. 23 ნოემბერი.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 24 ნოემბრის დილის ცნობა

23 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას წინანდელი მიმართულებებით ქ. სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ნ ნაწილმა გაწმინდა გერმანელებისაგან 17 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოსპო 250 ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 2 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, 35 ავტომატი, 120 შაშხანა და საომარი მასალები. ჯავშანმტვრეველთა ქვეგანაყოფმა დასწვა გერმანელთა 3 ტანკი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და წარმატებით მიიწევდნენ წინ. ჩვენმა ნაწილებმა, განავითარეს რა შეტევა, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ნ ნაწილის მებრძოლებმა დააზიანეს მტრის 9 ტანკი და ხელთ იგდეს 7 ქვემეხი, საომარი მასალების საწყობი, რადიოსადგური და სხვა დავლა. სხვა უბანზე დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 13 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 5 ვარგისი ტანკი, 22 ტყვიამფრქვევი და სხვა საჭურველი. წამოყვანილია ტყვეები, რომელთა რაოდენობა ზუსტდება. წითელი არმიის ნ ნაწილი შეიჭრა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ერთ დასახლებულ პუნქტში. თავდასხმა იმდენად უეცარი იყო, რომ ჰიტლერელებმა თავდაცვის მოწყობა ვერ მოასწრეს. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 1000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 70 ავტომანქანა და 25 თვითმფრინავი, რომლებიც ამ დასახლებული პუნქტის ახლოს მდებარე აეროდრომზე იდგა.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევით ბრძოლებს. ნ ნაწილმა მოსპო მტრის 850 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 35 ქვემეხი, 19 ავტომანქანა, 49 დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 520 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი ტანკისტები დაედევნენ უკუქცეულ ჰიტლერელებს და მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი, 28 ავტომანქანა, 8 ქვემეხი და ხელთ იგდეს დავლა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით საბჭოთა ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 6 ავტომანქანა და ჩაახშეს მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ნ ქვეგანაყოფმა მოიგერია მოწინააღმდეგის კონტრიერიში, დაედევნა ჰიტლერელებს და ხელთ იგდო მტრის გამაგრებული პოზიციები.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მტრის წინააღმდეგობის კიდევ ერთი კვანძი დაიკავეს. ხელთ ვიგდეთ: 1 ტანკი, 2 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი. ბრძოლის ველზე მტრის 100-მდე გვამი დარჩა.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედი პარტიზანთა რაზმის ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი, რომელსაც ცოცხალი ძალა მიჰყავდა ფრონტზე. მოსპობილია ორთქლმავალი და 10 ვაგონი ჯარისკაცებიანად. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანებმა რკინიგზის ვაკისი ააფეთქეს. რკინიგზის ამ უბანზე მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულ იქნა.

* * *

რუმინელ ჯარისკაც ს. ალბუს აღმოაჩნდა თავისიანებისათვის ბუქარესტში გასაგზავნი წერილი. წერილში ნათქვამია: „მუდამ სიკვდილის შიშში ვარ. უკვე რამდენიმე დღეა არ მიგვიღია არც საჭმელი და არც თამბაქო. აქ წყალსაც კი ვერ იშოვნი. ამას წინათ რუსებმა იერიში მოიტანეს ჩვენზე, და ჩვენ კვლავ მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი დავკარგეთ. ყოველივე ეს ისე მომბეზრდა, რომ მეტს ვეღარ ავიტან... თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდება, პირდაპირ ჭკუაზე შევიშლები. აქ უკვე დაიღუპა ნახევარ პოლკზე მეტი. ერთხელ კიდევ გთხოვთ, გააკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება, ოღონდ თავი დამაღწევინეთ რუსეთიდან".

* * *

საშინელმა ტერორმა ვერ გასტეხა ჩეხოსლოვაკი ხალხის ნებისყოფა გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლისა. ჩეხოსლოვაკიიდან იუწყებიან, რომ იქ ტრანსპორტზე და მრეწველობაში საბოტაჟის მრავალი აქტი ხდება. პრაღის მახლობლად ამას წინათ ერთმანეთს დაეჯახა გერმანელთა ორი სამხედრო ეშელონი. ბრნოს რაიონში დაიწვა ოკუპანტების სამხედრო საწყობი, სადაც ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ინახებოდა.

### 24 ნოემბრის საღამოს ცნობა

24 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ ქალაქ სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით წინანდელ მიმართულებებზე.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და სადგური სუროვიკინო, დასახლებული პუნქტები ზიმოვსკი, კამიშინკა, ბლიუნაია პერეკოპკა, ტრიოხოსტროვსკაია, სიროტინსკაია, ტომილინი, აკატოვკა, ლატოშანკა, უმანცევო, პერეგრუზნი და ქალაქი სადოვოე.

* * *

23 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 50 ავტომანქანა, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ოთხ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ჩვენი ჯარები ნელა მიიწევდნენ წინ და რამდენიმე ათეული ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან. მოსპობილია მტრის 900 ჯარისკაცი და ოფიცერი და გერმანელთა 6 ტანკი. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანზე საარტილერიო და სანაღმსატყორცნო მომზადების შემდეგ ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და დაიკავეს ტაქტიკური მხრივ დიდი მნიშვნელობის მაღლობი. მოსპობილია მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით განაგრძობდნენ წინსვლას. ერთ უბანზე გააფთრებული ბრძოლების შემდეგ კაპიტულაცია მოახდინა საბჭოთა ნაწილების მიერ გარშემორტყმულმა მტრის დაჯგუფებამ. ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მტრის სამი დივიზია გენერლებისა და მათი შტაბების მეთაურობით. სხვა უბანზე ნ ნაწილის მებრძოლები, რომელნიც უკანდახეულ მტერს მისდევდნენ, შეიჭრნენ მის ერთ-ერთ აეროდრომზე. დარტყმა გერმანელებისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ თვითმფრინავების აფრენა ვერ მოასწრეს. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 25 თვითმფრინავი და ხელთ იგდეს მტრის 17 ვარგისი თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებით ავითარებდნენ შეტევით ოპერაციებს და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ნ შენაერთის მებრძოლებმა, რომელნიც უკანდახეულ მტერს მისდევდნენ, მოსპეს მტრის სამ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 54 ტანკი, რომლებიც რემონტში იყო, 91 ქვემეხი, 57 ნაღმსატყორცნი, 100 ტყვიამფრქვევი, 100 კილომეტრი ტელეფონის კაბელი, მილიონამდე შაშხანის [illegible] 5 სხვადასხვა საწყობი და სხვა დავლა. გარდა ამისა, მოსპობილია მტრის 36 ტანკი, 31 ქვემეხი, 6 თვითმფრინავი და სხვა სამხედრო ტექნიკა. წამოყვანილია ბევრი ტყვე.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ნ ნაწილი კონტრშეტევაზე გადავიდა და საწყის ზღუდეებზე უკუაგდო ჰიტლერელები. ამ ბრძოლაში დახოცილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარია მტრის 2 ტანკი, მოსპობილია 2 ავტომანქანა, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და ქვემეხი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებმა სერიოზული ზარალი მიაყენეს მტერს. ქვეგანაყოფმა ამხ. კუზმინის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანელებზე და მოსპო ჰიტლერელების ოფიცერთა საჯარიმო ასეული. მეზღვაურთა ქვეგანაყოფმა ამხ. სტეპანოვის მეთაურობით მტრის წინააღმდეგობა გასტეხა და დაიკავა ერთი მაღლობი. ამ ბრძოლებში წითელფლოტელებმა გაჟლიტეს 400-მდე ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 23 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, 5 ნაღმსატყორცნი, 20 ათასი ვაზნა, შაშხანები, გრანატები და ნაღმები.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ნოემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში მოაწყო მტრის სამი სარკინიგზო ეშელონის მარცხი. დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 10 ვაგონი ჯარისკაცებიანად და 30 პლატფორმა სამხედრო ტექნიკიანად.

* * *

ყუბანის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გაჟლიტა 70 გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი და დასწვა საწყობები იმ სურსათიანად, რომელიც ჰიტლერელებმა მოსახლეობას წაართვეს და გერმანიაში გასაგზავნად მოამზადეს.

* * *

იუგოსლაველმა პარტიზანებმა, რომლებიც სუხარისა და ლუბინის მიმართულებით უტევენ, იტალიელთა 2 ბატალიონი გაანადგურეს. მოსპობილია მტრის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. 500-ზე მეტი იტალიელი ჯარისკაცი წამოყვანილია ტყვედ. პარტიზანებმა წამოიღეს დავლა: 600 შაშხანა, 24 ტყვიამფრქვევი და მრავალი სხვა საჭურველი.

## თავდაცვის სახალხო კომისარიატში

თავდაცვის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დააწესოს სპეციალური მედლები ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, სტალინგრადის დაცვის ყველა მონაწილის დასაჯილდოებლად შემდეგი სახელწოდებით: „ლენინგრადის დაცვისათვის", „ოდესის დაცვისათვის", „სევასტოპოლის დაცვისათვის", „სტალინგრადის დაცვისათვის".

შუამდგომლობაში, სადაც ნახსენებია სტალინგრადის დამცველი არმიები, ხაზგასმით არის აღნიშნული განსაკუთრებული როლი 62-ე არმიისა, რომელმაც მოიგერია გერმანელთა მთავარი შეტევა სტალინგრადზე, მისი სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ი. ჩუიკოვისა და მისი მთავარი თანაშემწეების ამხ. პოლკოვნიკ გოროხოვისა, გენერალ-მაიორ როდიმცევისა, გენერალ-მაიორ გურიევისა, პოლკოვნიკ ბოლვინოვისა, პოლკოვნიკ გურტიევისა, პოლკოვნიკ სარაევისა, პოლკოვნიკ სკვორცოვისა და სხვებისა, აგრეთვე არტილერისტებისა და მფრინავებისა.

შუამდგომლობაში წინადადებაა გამოთქმული ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭოთ ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, სტალინგრადის დამცველებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

* * *

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, მამაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის 76-ე მსროლელი დივიზია გარდაქმნილია გვარდიის 51-ე მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური—პოლკოვნიკი ნიკოლოზ ბორისის-ძე თავართქილაძე.

გარდაქმნილ დივიზიას ეძლევა გვარდიის დროშა.

## მ. ი. კალინინი

# საბჭოთა ზურგი ფრონტის მძლავრი დასაყრდენია

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომში სამხედრო-საზღვაო ფლოტს წილად ხვდა პასუხსაგები და მეტად რთული ამოცანა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფლოტს ბრძოლა უხდება მეტად ძნელ პირობებში, ეს მას მაინც არ უშლის ხელს, რომ საგრძნობი დარტყმები აგემოს მტერს და დაიცვას ძველი რუსული ფლოტის საბრძოლო ტრადიციები.

ლენინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ სანაპიროს დაცვით ჩვენმა მეზღვაურებმა მთელ საბჭოთა ხალხში გაითქვეს სახელი, როგორც მედგარმა, მამაცმა და გულადმა მებრძოლებმა. სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლაში ბალტიელებმა, შავზღველებმა, ჩრდილოეთის ფლოტისა და სამდინარო სამხედრო ფლოტილიების მეზღვაურებმა თავისი როლი შეასრულეს ფაშისტთა ჯარების სისხლისაგან დაცლაში, მათი წინსვლის შეფერხებასა და საბოლოო ანგარიშით შეჩერებაში. მატროსული ზოლიანი პერანგი და უსაჩიხო ქუდი თავზარსა სცემს მტერს.

ელვისებური ომის ნაცვლად ჰიტლერელებმა ხანგრძლივი ომი მიიღეს. ომის ასეთი ხასიათის შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსები, სახელმწიფოს ორგანიზმის ყოველი მცირედი ნაწილი ახლა ბრძოლაშია ჩაბმული — ზურგი ფრონტისაგან განუყოფელი გახდა. და თუმცა ხანგრძლივ ომშიც მისი შედეგები აგრეთვე ბრძოლის ველებზე სწყდება, მატერიალური მომარაგების ორგანიზაცია და ხალხის საერთო მორალური მდგომარეობა მაინც უდიდეს გავლენას ახდენს საომარი მოქმედების მსვლელობაზე.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი ქვეყნისაგან იღებს ყველაფერს, რაც საჭიროა ომის საწარმოებლად, და ხალხი წითელ არმიასა და ფლოტზე თავისი ზრუნვით საბრძოლო გმირობისათვის აღაფრთოვანებს წითელარმიელებსა და წითელფლოტელებს.

სულ მცირედ რომ შევაფასოთ იმ მატერიალური ნაწილის როგორც ხარისხი, ისე რაოდენობა, რასაც ჩვენი წითელი არმია და ფლოტი იღებენ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ძალები დამაკმაყოფილებლად სძლევენ თავიანთ ამოცანებს. გერმანელებს ეგონათ, რომ ტერიტორიის დაკავებით ისინი შებორკავდნენ ჩვენს სამეურნეო შესაძლებლობებს, მოშლიდნენ ზურგს და დემორალიზაციას შეიტანდნენ ხალხში. ნამდვილად კი ჩვენ შევძელით სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილის თავის დროზე გადატანა საშიში ზონიდან უშიშარ რაიონებში და, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის თავდადებულობის მეოხებით, წარმოების ახალ ადგილას მოწყობა. „საჭიროა ითქვას,—ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ეს იყო ყველა ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიული სახალხო კომისარიატების, მათ შორის ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის დიდი მასშტაბის უძნელესი და ურთულესი ორგანიზატორული მუშაობა. მაგრამ სიძნელეთა დაძლევა მოხერხდა. და ახლა ჩვენი ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ომიანობის დროის ყველა სიძნელის მიუხედავად, უდავოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ჩვენი სამხედრო ქარხნები და მათი მომიჯნავე საწარმოები პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ წითელ არმიას ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, თვითმფრინავებით, ტანკებით, ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, საომარი მასალებით. ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგრეთვე პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ მოსახლეობასა და წითელ არმიას სურსათით, ხოლო ჩვენს მრეწველობას — ნედლეულით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია".

გერმანელებს ძალიან მოაქვთ თავი თავიანთი ორგანიზატორული ნიჭით, უბადლო ორგანიზატორებად მიაჩნიათ თავი. მაგრამ ფაქტები სხვას მოწმობენ. გერმანელებმა გერმანიის მრეწველობაში მილიონობით უცხოელი მუშები ჩააბეს, გერმანულ კატორღაში მიჰყავთ ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქენი დროებით ოკუპირებული რაიონებიდან, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის და ფინეთის მრეწველობა აიძულეს იმუშაოს მათთვის. და, მიუხედავად ამისა, გერმანელები სულ მუდამ გაჰყვირიან, რომ მათ არა ჰყავთ მუშათა კადრები, რომ შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, იძულებული არიან აღიარონ სიძნელეთა არსებობა მრეწველობაში და ტრანსპორტზე. გერმანელმა ფაშისტებმა ისეთი მდგომარეობა შეჰქმნეს, რომ მთელი ევროპა შიმშილობს, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა პირდაპირ წყდება გერმანელი „ორგანიზატორების" მუშაობის შედეგად.

მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩა ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენ ბრძოლას ვეწევით ქვეყნების მთელ კოალიციასთან, ფრონტი გაჭიმულია ათასობით კილომეტრზე, და მაინც ჩვენი არმია და ფლოტი დამაკმაყოფილებლად მარაგდებიან საკვებით, ტანსაცმლით, საჭურვლითა და საომარი მასალებით. ეს უდავო ფაქტია, ხოლო მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივ ომში.

ჩვენი ქვეყნის მორალური მდგომარეობა ერთი რამით ხასიათდება — ხალხმა მიზნად დაისახა რადაც უნდა დაუჯდეს დაამარცხოს ფაშისტთა ურდო. ეს მიზანი არის ძირითადი, რომელიც იპყრობს საბჭოთა ადამიანის მთელ ფიქრებსა და ზრახვებს. ჩვენი ხალხის ეს განწყობილება, ეს ახალი რამ იმ განწყობილებასთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დასაწყისში, ერთბაშად როდი წარმოშობილა. რა თქმა უნდა, ჩვენი ადამიანები ომის დასაწყისშიც ისწრაფოდნენ მტრის დამარცხებისაკენ, მაგრამ მათ მაშინ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გავლილი ბრძოლის ბრძმედი, არ იცოდნენ ყველა მისი თვისება. ახლა კი საბჭოთა ადამიანებმა გაიგეს ომის სიძნელეები, გამოსცადეს მთელი მისი სისასტიკე, შეაფასეს მტრის ძალები და ის დაბრკოლებანი, რომლებიც გადალახულ უნდა იქნას. ამიტომ თვით ადამიანები სხვანი გახდნენ, ომის პირობებთან შეგუებულნი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ეს ცვლილებანი, რომლებიც ომის დროს მოხდა თვით ხალხში, საუცხოოდ არის გამოთქმული ამხანაგ სტალინის სიტყვებში: „მთელი ამ რთული ორგანიზატორული და აღმშენებლობითი მუშაობის შედეგად გარდაიქმნა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ გარდაიქმნენ თვით ზურგში მომუშავე ადამიანებიც. ადამიანები უფრო მუყაითნი, ნაკლებ მოშვებულნი, უფრო დისციპლინიანი გახდნენ, ისწავლეს ომიანობის შესაფერისად მუშაობა, იწყეს შეგნება თავიანთი მოვალეობისა სამშობლოს წინაშე და ფრონტზე მის დამცველთა წინაშე—წითელი არმიის წინაშე. დოყლაპიებისა და დაუდევრების რაოდენობა, რომლებიც მოკლებულნი არიან მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობას, ზურგში სულ უფრო და უფრო ნაკლები ხდება. ორგანიზებული და დისციპლინიანი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი, სულ უფრო და უფრო მეტი ხდება".

დიახ, ადამიანები მართლაც სხვანი გახდნენ. ისინი აღივსნენ სიძულვილით მტრისადმი, აღეძრათ უაღრესი მოთხოვნილება — გაჟლიტონ იგი, დასასრულ, ჩვენი ადამიანებისათვის ასე ძვირფასი არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა სამშობლო, როგორც ახლა. აი ჩვენი ხალხის მაღალი მორალური სულისკვეთების საფუძველი. და მტერს არ მოეპოვება ისეთი ძალები, რომლებითაც მას შეეძლოს შეარყიოს ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება გამარჯვების მოპოვებისა.

„წითელი ფლოტი",
22 ნოემბერი.

## საბჭოთა მთავრობის მადლობა უცხოელი ორგანიზაციებისა და პირებისადმი, რომელთაც გამოგზავნეს მისალმებანი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის გამო

საბჭოთა მთავრობის მიერ ამხანაგ ი. ბ. სტალინის, ამხ. მ. ი. კალინინის, ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე, აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელზე მიღებულია დიდძალი მილოცვები და მისალმებანი უცხოელი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისა და ორგანიზაციებისაგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის გამო.

საბჭოთა მთავრობა, დაწესებულებები და პირები, რომელთა სახელზეც მიღებულია მისალმებანი, გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომელთაც გამოგზავნეს მილოცვები საბჭოთა სახელმწიფოს XXV წლისთავის გამო.

* * *

უკვე გამოქვეყნებულს გარდა, მიღებულია მისალმებანი ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ-აფრიკის კავშირის, ინდოეთის, შვეციის, კვიპროსის, ურუგვაის, პანამისა და პალესტინის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან.

ინგლისიდან, კერძოდ, მიღებულია მისალმებანი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაურისაგან მოსკოვში კონტრ-ადმირალ მაილსისაგან; ინდოეთის ჯარების მთავარსარდალ გენერალ უეიველისაგან; ქალაქ კოვენტრის მანქანათმშენებელ ქარხანა „სტირლინგის" მუშებისაგან; ქალაქ კოვენტრის საავიაციო ქარხანა „არმსტრონგ - ვიტვორტის" მუშებისაგან; ჩელმსფორდის ეპისკოპოსისაგან; ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ერთიანობის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარისაგან; სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის ბ-ნ პრიტისაგან; ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტისაგან და სხვ.

ა. შ. შტატებიდან მისალმებანი მიღებულია ა. შ. შტატების სამხედრო-საზღვაო ძალთა მთავარსარდალ ფლოტის ადმირალ კინგისაგან; ა. შ. შტატების სამკერვალო მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირისაგან და სხვ.

# საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

## ორდენოსანი მაიორი ა. ვარდიშვილი

ალექსანდრე გრიგოლის-ძე ვარდიშვილი დაიბადა 1904 წელს ქ. ორჯონიკიძეში, დურგლის ოჯახში. 1918 წლამდე ამხ. ვარდიშვილი სწავლობდა ორჯონიკიძის საქალაქო სასწავლებელში. 1918 წელს 14 წლის ალექსანდრე გაჰყვა წითელი არმიის ნაწილებს, რომლებიც მაშინ დენიკინის ბანდების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

1926 წელს ალექსანდრე ვარდიშვილი უკვე საუცხოო და გამოცდილ ცხენოსნად ითვლებოდა. მას მრავალი სერიოზული ბრძოლა ჰქონდა გადახდილი. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამ დროს მშვიდობიანი მშენებლობა სწარმოებდა და ალექსანდრეს სწავლის წყურვილი გაეღვიძა. მან სამხედრო სამსახურს თავი დაანება და შევიდა სამუშაოდ თბილისის კომუნალურ ბანკში, თან უმაღლესი სასწავლებლისათვის ემზადებოდა. 1929 წელს

...

იგი თავდადებული სიმამაცით ბრძოდა საზიზღარი ფაშისტების წინააღმდეგ.

— დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე,—მოგვითხრობს ამხ. ვარდიშვილი,—ჩვენს ნაწილს შემოუტიეს მტრის რიცხობრივად ჭარბმა ძალებმა. ჩვენ მედგრად დავხვდით მტერს, მაგრამ მან შესძლო ჩვენთვის ფლანგიდან შემოვლა. მეთაურმა მიბრძანა რამდენიმე ქვემეხი ფლანგზე გადამეყვანა. მე შევკრიბე ქვემეხების მომსახურე გუნდები, საშინელ ცეცხლქვეშ ქვემეხები გადავიტანეთ საჭირო ადგილზე და დავარტყით მტერს. მტერი ფლანგზე უკუქცეულ იქნა, რამაც ბრძოლის შედეგი გადასწყვიტა.

ერთხელ ნაწილი, რომელშიც ამხ. ვარდიშვილი იყო, მტრის რკალში მოექცა. ნაწილმა ტყეში შეაფარა თავი. საჭირო იყო გაგება, სით იყო მტერი. ნაწილის მეთაურმა ამხ. ვარდიშვილს დაავალა წაეყვანა რამდენიმე კაცი და წასულიყო დაზვერვაზე, მაგრამ მან გამყოლებზე უარი განაცხადა და მარტო წავიდა.

— ტყიდან რომ გავედი, — მოგვითხრობს ამხ. ვარდიშვილი, — შორს სოფელი გამოჩნდა. გარშემო ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. გავხობდი თოვლში და მოვახერხე შეუმჩნევლად შესვლა სოფელში. განაპირა სახლთან გავჩერდი და დავფიქრდი, რა მექნა, რადგან არ ვიცოდი, ჩვენი იყო სოფელი თუ

...

ვარდიშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

**ნ. ილოშვილი**

## მაიორი პ. კაციტაძე

მაიორ პროკოფი ილიას ძე კაციტაძის განაყოფის მებრძოლთა გამბედაობისა და თავდადების შესახებ № წითელარმიული გაზეთი შემდეგს მოგვითხრობს:

„წითელი არმიის ნაწილებმა თავდაცვის ზღუდე დაიკავეს. ჩასაფრდა არტილერია, ფარულ ადგილებზე

...

განაყოფს და მთავარი ძალით ჩვენი თავდაცვის ცენტრს შემოუტია. ამ დროს კაციტაძემ თავის მებრძოლებით ფლანგიდან მოულოდნელად დაარტყა მტერს. მაიორი მებრძოლებს წინ მიუძღოდა, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მათ და ზუსტი, სნაიპერული სროლის მაგალითებს იძლეოდა. ამ ბრძოლაში დაიჭრა მაიორი, მაგრამ იგი დაუყოვნებლივ შესცვალა სხვამ. დაინახეს რა დაჭრილი მეთაური, მებრძოლებმა კიდევ უფრო მეტის თავდადებით შეუტიეს მტერს. მტერი უკუიქცა. ბრძოლის ველი მოფენილი აღმოჩნდა ჰიტლერელთა გვამებით.

...

ტის მებრძოლები, რომ წინ წაწეულმა ჩვენმა მეთვალთვალეებმა ორი ფაშისტი მზვერავი შენიშნეს.

— გაატარეთ მტრის მზვერავები, ალყა შემოარტყით და ცოცხლივ მომგვარეთ!

— არის გავატაროთ მტრის მზვერავები და ყველანი მოგგვაროთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ორი ფაშისტი მზვერავის ირგვლივ ხუთი საბჭოური ავტომატის ლულა აღიმართა. ფაშისტებმა ხელები მაღლა ასწიეს და უსიტყვოდ გაჰყვნენ საბჭოთა მზვერავებს. მტრის განზრახვა უკვე ცნობილი გახდა ნაწილის სარდლობისათვის"...

შემდეგ გაზეთი მოგვითხრობს ამ ადგილებში გაჩაღებული ბრძოლების შესახებ. ფაშისტთა ურდომ გვერდი აუარა მაიორ კაციტაძის

...

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში: უკანასკნელად, რამდენიმე თვის განმავლობაში მაიორი კაციტაძე იცავდა მშობლიურ კავკასიონს ჰიტლერელ ურჯულოთა შემოსევისაგან.

ამჟამად მაიორი პ. კაციტაძე ჰოსპიტალშია. ამას წინათ მან წერილი გაუგზავნა თავის მებრძოლებს.

— მებრძოლური სალამი, ამხანაგებო, ყველას! მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, მშვენივრად ვგრძნობ თავს. ექიმები მარწმუნებენ, რომ სულ მოკლე ხანში კვლავ შევძლებ თქვენთან დაბრუნებას და მალე კვლავ წინ გაგიძღვებით ვერაგი მტრის გასაჟლეტად. გისურვებთ გამარჯვებას და გკოცნით ყველას...

**დ. ლომთაძე**

## სნაიპერი ბედალიძე

სნაიპერი ბედალიძე ორდენის მისაღებად შტაბში წავიდა. მიწურში რომ შევიდა, დაზვერვის უფროსი პოდპოლკოვნიკს მოახსენებდა, მაღლობის რაიონში გერმანელ მეავტომატეთა ასეული ტანკების დახმარებით იერიშზე გადმოვიდაო.

— მეკავშირე გაგზავნეთ ბატარიაში, რომ ცეცხლი დაუშინონ, — ბრძანა პოდპოლკოვნიკმა.

— მე მომეცით ნება, — სთხოვა ბედალიძემ.

ერთი წუთის შემდეგ იგი ბატარიელებთან მირბოდა. გარშემო ფეთქდებოდა ყუმბარები, სტვენით სკდებოდა ნაღმები. როგორც კი სნაიპერმა ტყის პირს მიაღწია, მის უკან ატკაცუნდა ტყვიამფრქვევები. ბედალიძე დიდ ქვას ამოეფარა და სამი ტყვია ისროლა. სამი გერმანელი უსულოდ დაეცა მიწაზე. დაიჭრა თვითონ ბედალიძეც. მან უკანასკნელი ძალები მოიკრიფა, ხოხვით განაგრძო გზა და ბატარიას ბრძანება გადასცა. შემდეგ კი გრძნობადაკარგული დაეცა. გონს რომ მოვიდა, კვამლში დაინახა იქვე ახლოს როგორ იწვოდა ფაშისტთა ტანკები.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ბატარიის მეთაურმა მებრძოლს, თან ხელში ხელი ჩაჰკიდა და წამოაყენა.

— მეორე ასეულიდან ვარ, სნაიპერი, — უპასუხა ბედალიძემ.

**ი. დუბინსკი**

მოქმედი არმია.
სამხრეთი.

## ხომალდის იუბილე

სად მიდიოდნენ ისინი და რა საქმისათვის, ეს მხოლოდ ზღვაში შეიტყეს. ხომალდებს საარტილერიო თავდასხმა უნდა მოეხდინათ მტრის მიერ დაკავებულ ნავსადგურზე, რადგან ფაშისტებს იმ დროისათვის ამ ნავსადგურში ბევრი დიდი და მცირე გემი დაუგროვდათ.

ლაშქრობა პასუხსაგები და რთული იყო. საქმის წარმატების განმსაზღვრელი მთავარი და ძირითადი პირობა იყო დარტყმის მოულოდნელობა. ხომალდზე ყველა ოცნებობდა დამოუკიდებელ საარტილერიო დარტყმაზე როგორც სანატრელ საქმეზე. მანამდე ხომალდს უხდებოდა მრავალი პასუხსაგები რეისის შესრულება — ბადრაგობდა ტრანსპორტებს, რომლებსაც ზღვით მიჰქონდათ საომარი მასალა, საჭურველი, აქ კი ასეთი საპატიო ამოცანა!

მთელი ძალღონით ცდილობდნენ ქვაბებისა და ტრიუმის მემანქანეები. ისინი სთვლიდნენ, რომ ოპერაციის წარმატება მათ მუშაობაზე იყო დამოკიდებული. არტილერისტების აზრით, საბრძოლო ამოცანა მათ უნდა გადაეწყვიტათ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ამზადებდნენ მატერიალურ ნაწილს.

...

რა ქართულად: „უძლეველი კავკასიისათვის! მშობლიური საქართველოსათვის!"

— ამხანაგო ბატალიონის კომისარო, — სთქვა კომსოშვილმა,—დამოუკიდებელ ბრძოლაში მივდივართ..

— დიახ, ბრძოლაში, — უპასუხა კომისარმა, — ფრიად სერიოზული ამოცანაა.

— ამიტომ ყველამ გადავწყვიტეთ, — განა-

...

## ნაღმმტყორცნელი გუნდის მეთაური ი. ისაკაძის სიმამაცე

...

იტანა მან მტრის სიმაგრის წინააღმდეგ, მაგრამ მტერმა იერიშები მოიგერია. საჭირო იყო ახალი იერიშების მომზადება. ნაღმმტყორცნელთა გუნდის მეთაურმა ამხ. ირაკლი ისაკაძემ ბრძანება მიიღო ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაეშინა სიმაღლისათვის.

ამხ. ი. ისაკაძის ნაღმსატყორცნის ზუსტმა

...

გამორეკა ჰიტლერელი ყაჩაღები.

ქვეგანაყოფმა ისარგებლა ნაღმმტყორცნელთა ხელისშეწყობით, წინ წაიწია და უკუაქცია მტერი. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ისაკაძემ. პირადად მან მოსპო მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტი და 14 ფაშისტი.

**ი. კეზერაშვილი**

## უკან არ დავიხევთ!

მეავტომატეები სერჟანტი ვ. ლამბაშიძე და წითელარმიელი ზ. მანგუშევი გმირულად იცავდნენ ერთ-ერთ ზღუდეს. მტრის ნაღმსატყორცნთა ცეცხლისაგან იწვოდა ტყე, იწვოდა სანგრის გარშემო მდებარე ბუჩქები. ცეცხლის ალი სწვდებოდა სანგარში გმირულად მხნდომ მეავტომატეებს ვ. ლამბაშიძეს და ზ. მანგუშევს. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ისინი უშიშრად ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლას, კვამლსა და ბურუსში არჩევდნენ მოიერიშე გერმანელებს და ავტომატის ცეცხლით მუსრს ავლებდნენ არამზადათა რიგებს.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! მოვკვდებით, მაგრამ უკან არ დავიხევთ! — ამბობდნენ მამაცი მებრძოლები და ზედიზედ სცლიდნენ სავაზნე კოლოფებს. ორმა შეუდრეკელმა მებრძოლმა ღირსეულად და ბოლომდე შეინარჩუნა დაკავებული საცეცხლე პოზიცია. მტრის იერიშები მოგერიებულ იქნა.

**ი. კეზერაშვილი**

## სერჟანტმა ფაილოძემ ხელის ტყვიამფრქვევით მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო

დილაადრიან სატანკო ნაწილის სამეთაურო პუნქტის თავზე გერმანელთა მაკორექტირებელი თვითმფრინავი გამოჩნდა. ბლინდაჟთან ხელის ტყვიამფრქვევით ჩასაფრდა სერჟანტი ფაილოძე. 350-400 მეტრის სიმაღლეზე ფაშისტთა თვითმფრინავი რომ შენიშნა, ფაილოძემ მაშინვე აუტეხა მას სროლა. პირველი დისკო დაიცალა, მაკორექტირებელი თვითმფრინავი კი კვლავ მაღლა დატრიალებდა. ფაილოძემ ხელახლა გასტენა ტყვიამფრქვევი და გრძელი ჯერი ესროლა. თვითმფრინავი კვამლში გახვია და მკვეთრად დაექანა ძირს. კიდევ ერთი წამი, და მტრის ალმოდებული თვითმფრინავი მიწაში ჩაერჭო და გარუჯული ნამსხვრევების გროვად იქცა.

**ი. დუბინსკი**

მოქმედი არმია.
სამხრეთი.



მოქმედი არმია (ჩრდილოეთ კავკასია). სურათზე: სნაიპერი სერგი მატარიანი ჩასაფრებული უთვალთვალებს მტერს.

ფოტო მ. ალპერტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

21 ნოემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება.

მოხსენება მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ს. შჩერბაკოვმა.

— 17 თვეა,—ამბობს ამხ. შჩერბაკოვი, — ჩვენი ქვეყანა ბრძოლას ეწევა ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილე-

...

ომისა!"—ზრუნვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო... ვის პარტიული, სამეურნეო და განსაკუთრებით პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობააო, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. შჩერბაკოვი.

ამხ. შჩერბაკოვმა მოხსენების დასკვნით ნაწილი უძღვნა შინაპარტიული მუშაობის საკითხებს, კერძოდ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა

...

მომზადების დარგში.

ეხება რა მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროების საკითხს, ამხ. შჩერბაკოვი ამბობს, რომ ომმა მთელი რიგი სიძნელეები შეჰქმნა ამ დარგში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთ უსაქმურ ადამიანს უფლება მივცეთ ამოეფაროს ფრაზას: „რა გინდათ ჩემგან? ახლა ხომ

...

სტალინის მიერ დასახული კეთილშობილური ამოცანის განხორციელებისათვის: ჰიტლერული სიბილწისაგან გავწმინდოთ საბჭოთა მიწარ.

რეზოლუციის ბოლო სიტყვებს — „გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, მასწავლებელს, მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!" — ჰფარავს ხანგრძლივი ტაში და მქუხარე ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად. (საკდესი).

## საქართველოს მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინგრადის გმირ დამცველთა წარმატებითს შეტევას

### გერმანელ ოკუპანტთა განადგურება გარდუვალია

სწრაფად გავრცელდა თბილისის ხაორთქლმავლო დეპოში ცნობა სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ.

შესვენების დროს და მუშაობის დამთავრების შემდეგ პარტბიუროს მდივანმა ამხ. მგელაძემ, აგიტატორებმა ფ. ლაბაძემ, თბილისის სტრანსპორტო ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტმა ამხ. ი. ბერგმა და სხვებმა საამქროებში წაუკითხეს და გააცნეს მუშებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს სასიხარულო ცნობები.

საუბრის დროს მთელმა რიგმა ამხანაგებმა თავიანთი აზრი გამოსთქვეს სტალინგრადის

...

ცხადჰყოფენ, რომ წითელი არმია დღითიდღე იწრთობა, ძლიერდება და სულ უფრო მაგარ დარტყმებს აგემებს ფაშისტ ოკუპანტებს. ჩვენი მოვალეობაა სამშობლოს მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვნად შეკეთებული ორთქლმავლები, რათა ჩვენს გმირ მებრძოლებს ფრონტზე არაფერი მოაკლდეთ.

— ახლა ყველა ჩვენგანის აზრები და გრძნობები იმ მამაც მებრძოლებთან და მეთაურებთან არის, რომლებიც გმირულ ბრძოლებს ეწევიან სტალინგრადის რაიონში გერმანელ დამპყრობლებთან და მათ თანამონაწილეებთან

...

თა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევის შესახებ სტალინგრადის რაიონში.

აგიტატორებმა მარო ჯულაბიშვილმა, ქ. ზარდალოვმა, ქ. კლანმა სამუშაოს დაწყებამდე გააცნეს მუშებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა, ხოლო ი. მალიავსკაიამ და ვ. შაქელაძემ მოსახლეობაში ჩაატარეს საუბარი.

საუბრის მოსმენის დროს საიარაღო საამქროს ზეინკალმა შალვა წამალაშვილმა განაცხადა, რომ ჰიტლერელებმა ერთხელ კიდევ იგემეს წითელი არმიის მძლავრი დარტყმების ძალა, სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის გმირული ოპერაციით მტერმა სერიოზული დამარცხება განიცადა.

— სტალინგრადის გმირმა დამცველებმა

...

ბას ბრწყინვალედ ასრულებენ. არა მარტო ინარჩუნებენ ქალაქს, არამედ გამანადგურებელ დარტყმებს აგემებენ ჰიტლერელთა ბანდებს,— განაცხადა ექსპერიმენტალური საამქროს საზეინკლო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ალ. ხაჯიევმა.

მექანიკური საამქროს ხარატებმა მ. აკოფოვმა და ა. ბალდასაროვმა, რომლებიც დღიურ დავალებას 300 პროცენტით ასრულებენ, ჩვენი ჯარების ახალი წარმატებების საპასუხოდ პირობა დასდეს გააორკეცონ თავიანთი მუშაობა ფრონტის დასახმარებლად. ორი დღეა ისინი ზედიზედ 600-600 პროცენტით ასრულებენ დავალებას.

ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე სტახანოველმა ივ. ტოკაშვილმა, ზეინკალმა კირაკოზიანმა და სხვ.

### ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარების

...

დაე ყველამ იცოდეს, როგორც დიდმა

...

## ულელ ზეხილთან

სასტიკი გააფთრებული ბრძოლა ჰქუხდა სამი ათას მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალზე. დღისით, ღამით, ზედიზედ ცხრა დღე-ღამეს...

მიღებულ იქნა ბრძანება ჩვენს მებრძოლებს გადაერეკათ გერმანელები 13-16-ით მონიშნული თხემიდან.

...

სისწრაფით მიექანება ზვავი, ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე.

წინ გაიჭრა წითელარმიელი პუზანოვი, ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლა ორი ჰიტლერელი. გააძრო ერთს მაზარა, მოჰგლიჯა ქუდი, ჩაიცვა, ქვასთან ჩაწვა და იქიდან ხელს უქნევს, ეძახის ფრიცს—მოდით, მომე-

...

გაბრწყინვებული თაფლისფერი თვალებით და შერუჯული სახით.

— შაფქათ ბეკბუდიევი—ბატარიის მეთაური.

...

თაური, შემდეგ სუმბათ ხაჩატურიანი, ივანე ზაკუტკო, ზაქარია ევნატაშვილი. გაისმა ანდღულაძის განკარგულება:

— შულგას გუნდი სწრაფ სროლას განაგრძობს...

...

**ი. დუბინსკი**

# უცხოეთის პრესა სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის შეტევის შესახებ

## ინგლისი

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). წითელი არმიის გამარჯვებამ სტალინგრადთან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. მთელი პრესა და რადიო დიდ ყურადღებას უთმობენ ამ ამბავს.

გაზეთი „სტარი" აღნიშნავს, რომ ნოემბერი ის თვეა, რომლის განმავლობაშიც ჰიტლერელთა ბევრი იმედი შეირყა. „სტალინგრადი ასდგა. როგორც მოჩვენება, და თუ ის ტომარა, რომელშიც, ალბათ, ახლა სტალინგრადთან მდგომი ჰიტლერელთა უდიდესი არმია აღმოჩნდა, თავმოკრული იქნება, მაშინ გერმანია სამხედრო დამარცხების წინაშე აღმოჩნდება".

გაზეთი „ტაიმსი" სწერს, რომ საბჭოთა მძლავრი კონტრიერიში, რომელიც მოხდენილ იქნა წარსულ კვირაში კავკავის რაიონში, უკვე მოასწავებდა შემდგომში უფრო დიდ ამბებს. და მართლაც, ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა ახალი უფრო ძლიერი დარტყმა. სტალინგრადის გარშემო სამი დღის გააფთრებულმა ბრძოლებმა მკაფიოდ დაგვანახვეს, თუ ორი მოწინააღმდეგიდან რომელს აღმოაჩნდა უფრო მეტი უნარი აეტანა თითქმის 4 თვის ალყის ფიზიკური და მორალური დაძაბულობა. გერმანელთათვის ფრთხილი ტაქტიკა იქნებოდა, რა თქმა უნდა. უკან დახევა. თუ ჰიტლერი დაიჟინებს წინააღმდეგობა გაუწიოს ახლანდელ პოზიციებზე, მაშინ ეს ჩადენილი იქნება მხოლოდ პრესტიჟის გულისათვის. მაგრამ მსოფლიოს თვალში გერმანიის არმია ვედარავითარ პრესტიჟს ვერ მოიპოვებს, რამდენადაც მისი დამარცხება სტალინგრადთან ყველასათვის ცხადია.

გაზეთი „ივნინგ სტანდარდი" სწერს, რომ „ჯერ კიდევ იქნება უდიდესი და ძვირადღირებული კამპანიები მანამდე, სანამ ჰიტლერი თავის დიდ ხანს ნაგროვები ძლიერებიანად იძულებული იქნება უარი სთქვას ინიციატივაზე, რასაც იგი თითქმის 3 წელს ინარჩუნებდა. ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, არის მოკავშირეების მასიური და ერთდროული კონტრშეტევა, რომელიც შესცვლის ომის მსვლელობას".

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, საბჭოთა ჯარების შეტევას ქვემო ვოლგის მხრიდან კალაჩის მიმართულებით ლონდონში განიხილავენ როგორც გერმანელთა ყველა გეგმის ჩაფუშვას. ახალი შეტევა ამტკიცებს, რომ ზაფხულის კამპანიას სრულიადაც არ წაურთმევია წითელი არმიისათვის საშუალებანი ან ნებისყოფა იმისათვის, რომ ენერგიული შეტევითი პოლიტიკა აწარმოოს. ამასთან დაკავშირებით, ნათქვამია დასასრულ ინფორმაციის სამინისტროს ცნობაში, ღერძის სახელმწიფოთა საჭიროება გაგზავნონ ჯარები იმისათვის, რომ მოიგერიონ საფრთხე ხმელთაშუა ზღვის მხრიდან, მათთვის ახალ მუქარას წარმოადგენს.

## ა. შ. შტატები

**ნიუ-იორკი**, 23 ნოემბერი (საკდესი). საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 22 ნოემბრის ცნობამ სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის შეტევის შესახებ დიდი სენსაცია გამოიწვია ა. შ. შტატებში. პრესა და რადიო ამ ცნობას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ინფორმაციას ჩრდილოეთ აფრიკაში, ახალ გვინეასა და სხვა ფრონტებზე მომხდარი ამბების შესახებ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" სწერს, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ამერიკელთა მთელი ყურადღება მიქცეული იყო უმთავრესად ჩრდილოეთ აფრიკასა და წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მომხდარი ამბებისადმი, მაგრამ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს კვირის ცნობამ გაგვახსენა ის ბრძოლები, რომლებსაც გმირული წითელი არმია ეწევა და მომაკვდინებელ ზარალს აყენებს მტერს. წელიწადნახევრის განმავლობაში წითელ არმიას გადააქვს გერმანელთა არმიებთან ბრძოლის მთავარი ტვირთი და, ამნაირად, წითელმა არმიამ შესაძლებელი გახადა ინგლის-ამერიკის ძლიერების მობილიზაცია და განვითარება. წითელი არმია ახორციელებს სტალინის განცხადებას, რაც მან გასულ კვირაში გააკეთა იმის შესახებ, რომ წითელი არმია ღირსეულად შეასრულებს თავის ამოცანას ისევე, როგორც იგი მას ასრულებდა მთელი ომის განმავლობაში.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს: საბჭოთა გამარჯვება იმას მოწმობს, რომ ჰიტლერი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, თუ იგი შეეცდება თავისი ჯარები აღმოსავლეთის ფრონტიდან გადმოიყვანოს. ჰიტლერის რესურსები მეტის-მეტად დაძაბულია. ცხადია, რომ ჰიტლერი იძულებულია თავდაცვაზე გადავიდეს, მაგრამ ეს თავდაცვა მალე შეუძლებელი გახდება, ვინაიდან ამჟამად ჰიტლერის მოკავშირეები ლოიალობას იცავენ მის მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ეშინიათ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველ ლონგის განცხადებით, საბჭოთა შეტევამ სტალინგრადის რაიონში შესცვალა მდგომარეობა მთელს აღმოსავლეთის ფრონტზე და იმას მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი თავის ხელში იღებს ინიციატივას და ემუქრება გერმანელთა მთელს ჯარებს სტალინგრადის რაიონში, მაშინ როდესაც ინგლისელები და ამერიკელები ემუქრებიან ღერძის სახელმწიფოთა პოზიციებს ხმელთაშუა ზღვაში.




# ინგლისელთა შეტევა ლიბიაში

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). ინგლისელთა ახლო აღმოსავლეთის ძალების სარდლობა იუწყება, რომ გუშინ, დილაადრიან, ბრიტანეთის ნაწილები აჯედაბიაში შევიდნენ და შეხვდნენ მტერს, რომელიც განაგრძობს უკანდახევას ელ-აგეილისაკენ. მტერმა დასტოვა ჯალოს ოაზისი, რომელიც ინგლისელებმა დაიკავეს.

22 ნოემბერს ღამით ინგლისელთა ავიაცია თავს დაესხა ბიზერტას და ასაფრენ მოედნებს პალერმოში (სიცილია).

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი" იუწყება, რომ ელ-აგეილისათვის ბრძოლა ადვილი არ იქნება. რომმელს, ალბათ, შეეძლება გამოიყვანოს 10 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და, შესაძლოა, 50 ათასამდე იტალიელი. იტალიელ-გერმანელთა ძალების უკან არის ტრიპოლის გზა, სიგრძით 350 მილი, რომელიც თავის დროზე გაკეთებულია იტალიელთა მიერ და მოწყობილია მომარაგების სპეციალური ბაზებით.

# საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისელთა და ამერიკელთა ჯარების კონცენტრაცია აღმოსავლეთ სექტორში გეგმის შესაბამისად გრძელდება. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს მტრის სახმელეთო ძალებთან. მოკავშირეთა ავიაგამანადგურებლები თავს ესხმოდნენ ტუნისს. ინგლისელთა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს დოკებსა და მტრის გემებზე ბიზერტაში.

მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბრძოლა ტუნისში სულ უფრო დაუფრო სასტიკი ხდება. გერმანელთა ძალებს კარგი პოზიცია უკავიათ, განსაკუთრებით ბიზერტისა და ტუნისის სექტორებში, და მნიშვნელოვანი საჰაერო ძალები მოეპოვებათ. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც სანაპიროდან 22 მილზე მოქმედებენ სამხრეთით, თავდასხმა განიცადეს.

მაროკოს რადიო იუწყება, რომ ინგლისელთა პირველმა არმიამ მოკავშირეთა და ფრანგთა ჯარების დახმარებით დიდი შეტევა დაიწყო გერმანიის პოზიციების წინააღმდეგ ბიზერტა-ტუნისის სექტორში. წამოყვანილია ტყვეები.

# ამერიკელთა შეიარაღებული ძალების ზარალი ჩრდილოეთ აფრიკაში სადესანტო ოპერაციების დროს

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ვაშინგტონში გამოქვეყნებულ ა. შ. შტატების სამხედრო სამინისტროს ცნობის თანახმად, ამერიკელთა ჯარების ზარალი ჩრდილოეთ აფრიკაში სადესანტო ოპერაციების დროს მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით 1.910 კაცს შეადგენს.

# შეთანხმება საფრანგეთის სამფლობელოთა შესახებ დასავლეთ ნახევარსფეროში

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას მიაღწიეს მარტინიკის კუნძულის ხელისუფლებთან. ამ შეთანხმების შედეგად, არა მგონია, წამოიჭრას საჭიროება ამერიკელთა ჯარების მიერ ფრანგთა სამფლობელოების ოკუპაციისა კარაიბის ზღვაში.

შემდეგ ჰელმა განაცხადა, რომ შეთანხმება მოიცავს საფრანგეთის ყველა სამფლობელოს დასავლეთ ნახევარსფეროში, მათს რიცხვში საფრანგეთის გვიანასაც.

# ამერიკელთა ავიაციის თავდასხმა სენ-ნაზერზე

**ლონდონი**, 24 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს გერმანიის წყალქვეშა ნავების ბაზას სენ-ნაზერში. აღნიშნულია ბევრი აფეთქება. წინასწარი ცნობებით, ამერიკელთა ბომბდამშენებმა ჩამოაგდეს მტრის 15 ავიაგამანადგურებელი.

# უცხოეთის ქრონიკა

კუბასა და ჩინეთს შორის ხელმოწერილ იქნა მეგობრობის ხელშეკრულება.

* * *

საჰაერო მიმოსვლის გერმანულმა კომპანიამ ლიუფტჰანზამ გააუქმა ყოველდღიური ავიამიმოსვლა გერმანია-პორტუგალიის ხაზზე.

* * *

ამერიკის სხვა ქვეყნებთან ერთად ვიშის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტეს ბრაზილიამ, ჰონდურასმა, პანამამ და ნიკარაგუამ.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოიწონა კანონპროექტი 18–19 წლის ასაკის პირების სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ.

* * *

საფრანგეთის კონსულმა ტამპიკოში (მექსიკა) ასელამ. საფრანგეთის ბოგოტის (კოლუმბია) დიპლომატიური მისიის ატაშე ბონკურმა და ვიშის მთავრობის წარმომადგენელმა კოსტარიკაში რატონმა, ვიშის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, თავიანთი გადადგომა გამოაცხადეს.

* * *

5.300 ბერძენი ოფიცერი და ჯარისკაცი მსახურობს საბერძნეთის 25 სამხედრო ხომალდზე, რომლებიც მოქმედებენ მოკავშირეთა ხომალდებთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში.

* * *

ინგლის-ამერიკის წარმოებისა და რესურსების გაერთიანებულ კომიტეტში ამჟამად შეყვანილი არიან კანადის წარმომადგენლები. მათ ისეთივე უფლებები ექნებათ საკითხების გადაწყვეტისას როგორიც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს.

ამას წინათ კვისლინგელთა „პარტიის" მეთაურებმა თავის ორგანიზაციებს დაუგზავნეს იმ პირთა სიები, რომელთაც კვისლინგის წინააღმდეგ ოპოზიციას სწამებენ, და წინადადება მისცეს მათ, თუ საშიში სიტუაცია შეიქმნას, „ლიკვიდაცია უყავით", ე. ი. გაქლიტეთ ეს პირნიო.

* * *

საფრანგეთის ანკარის საელჩოს პირველი მდივანი ბერტრანი, თავმჯდომარე ფრანგთა ლეგიონისა თურქეთში კაზალონგა და საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტოს ჰავასოფის დირექტორი თურქეთში კლო მებრძოლ საფრანგეთს მიემხრნენ.

* * *

12 ნოემბერს ღამით ერთმა ინგლისელმა მოყვარულმა ასტრონომმა ახალი, მეტად მკაფიო ვარსკვლავი აღმოაჩინა. ხელსაყრელ პირობებში მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება.

* * *

რუზველტმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ გენერალ-მაიორ კლარკს, ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიის მომზადებაში მის ღვაწლთან სამსახურებასთან დაკავშირებით, გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭოს.

* * *

ჩილის პრეზიდენტმა რუზველტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აცხადებს, რომ ჩილი დახმარებას გაუწევს ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრანგეთის ტერიტორიის განთავისუფლებაში იმით, რომ გაადიდებს უმნიშვნელოვანესი სამხედრო მასალების წარმოებას და ალკვეთს გერმანიის პროპაგანდასა და შპიონაჟს.

(საკდესი).

## დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია

სტალინური პრემიის ლაურეატი დ. დ. შოსტაკოვიჩი საბჭოთა მუსიკალური კულტურის უნიჭიერესი წარმომადგენელია. უკანასკნელი ხანის მისი ნაწარმოებები, როგორც, მაგალითად, მეხუთე სიმფონია, კვინტეტი და განსაკუთრებით მეშვიდე სიმფონია, გვიჩვენებს, რომ კომპოზიტორმა იპოვა მუსიკალური სახეები, რომლებიც კოლორიტულად, ნათლად, შოსტაკოვიჩისათვის ჩვეული ტექნიკური ოსტატობით გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის შინაგან სამყაროს, იმ გრძნობებს, რომლებიც ამოძრავებს სოციალიზმის ქვეყნის საზოგადოებას, გვიჩვენებენ სიხარულს, რომელსაც განიცდის საბჭოთა ადამიანი, დინამიკას, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი ქვეყნის დღეები, და, ბოლოს, იმ გმირულ, უდრეკ სულს, რომლის გატეხა არ შეუძლია არავითარ ძალას.

მეშვიდე სიმფონიის კონცეპცია შეიცავს ჩვენი სინამდვილის ყველა მხარეს. პირველი ნაწილი გვიხატავს საბჭოთა ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, რასაც უპირისპირდება უხეშობის თემა, რომელიც გამოსახავს ჰიტლერული სამხედრო მანქანის უსულგულო ჯარისკაცთა ხროვას. დ. შოსტაკოვიჩი მოხერხებულად იყენებს ე. წ. ვარიაციული განვითარების მეთოდს. და იმ მომენტში, როცა ეს უხეში ძალა მზად არის ყველაფერი წალეკოს, გამოჩნდება და ძლიერდება საბჭოთა ქვეყნის უდრეკი გადაწყვეტილება სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას საყვარელი სამშობლო. აქ სიმფონია აღწევს დრამატიზმის უდიდეს პათოსს. პირველი ნაწილის დასასრულს ეს ბრძოლა წყნარდება და კომპოზიტორი უბრუნდება ნაწილობრივად შეცვლილ პირველ თემას. ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

მეორე და მესამე ნაწილი საბჭოთა ადამიანის სიხარულსა და ლირიკულ ფსიქოლოგიას გვიხატავს. ფინალი წარმოადგენს სიმფონიის ფილოსოფიური კონცეპციის დაგვირგვინებას—საბჭოთა ხალხის ურყევ რწმენას ჩვენი ქვეყნის საბოლოო გამარჯვებისადმი. ეს რწმენა იქცევა უდიდეს სიხარულად, რომლითაც თავდება სიმფონია.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა მუსიკალურმა ხელოვნებამ შოსტაკოვიჩის სახით სამამულო ომის მძაფრ დღეებში შექმნა ასეთი მონუმენტალური ნაწარმოები, გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მუსიკა კვალდაკვალ მიჰყვება ჩვენს სინამდვილეს. გარდა იმისა, რომ ეს სიმფონია თავისთავად დიდ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, იგი [illegible] ფაქტია, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა ინტელიგენცია სამამულო ომის მებრძოლთა რიგებში დგას.

ამ ნაწარმოებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა ადამიანების გულში, არამედ საზღვარგარეთ დემოკრატიულ ქვეყნებშიც, სადაც იგი დიდი წარმატებით სრულდება.

დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის შესრულება თბილისში ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელის საქმედ გადაიქცა. სიმფონიის ინტერპრეტაცია დაევალა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. გაუკს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. გაუკის ერუდიცია, ნიჭი და ოსტატობა მიმართული იყო სიმფონიის ფილოსოფიური კონცეპციის სწორად გახსნისაკენ. სიმფონია დიდ ცოდნასა და ოსტატობას მოითხოვს დირიჟორისაგან. ა. გაუკს ხანდახან უსაყვედურებენ თავშეკავებულ ემოციურობას. დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის შესრულებისას მან გვიჩვენა ნამდვილი ტემპერამენტი, მუსიკალური სახეების ღრმა შეგრძნობა და საერთოდ სიმფონიის სწორი გაგება.

ფერადოვანი, კოლორიტული, დრამატიული ჟღერადობით გაჟღენთილი პარტიტურა ა. გაუკის ხელში ისე ჟღერდა, რომ ორკესტრი დიდი აღფრთოვანებით უკრავდა. ჯეროვანი უნდა მივუზღოთ სიმფონიურ ორკესტრსაც, რომელიც გატაცებით უკრავდა, ცდილობდა შესისხლხორცებოდა ავტორის მისწრაფებებს. საუცხოოდ ჟღერდნენ სიმებიანი ჯგუფი და ხისა და თითბრის სასულე საკრავები. თუმცა წყობას ცოტაოდენი აღრევა ემჩნეოდა, მაგრამ მთლიანად საუცხოო შესრულება ამ ნაკლს ჰფარავდა.

ამ სიმფონიის შესრულება მუსიკალურ დღესასწაულად გადაიქცა. ოსტატურმა შესრულებამ მრავალრიცხოვან დამსწრეთა მხურვალე მოწონება დაიმსახურა. საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა სიმფონიური ორკესტრის მსახიობებს დირიჟორ ა. გაუკის მეთაურობით.

კონცერტის დასაწყისში შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მუსიკისმცოდნემ პ. ხუჭუამ.

კომპოზიტორი **გრ. კილაძე**
სტალინური პრემიის ლაურეატი.

## „აბესალომ და ეთერის" ახალი დადგმა

ზ. ფალიაშვილმა თავისი შესანიშნავი ოპერა „აბესალომ და ეთერი" დაწერა, როგორც დიდი ეპიკური მუსიკალურ-დრამატიული ტილო და მას ოპერა-ლეგენდა უწოდა. ამ ოპერაში მან გამოხატა საკაცობრიო გრძნობები, მხურვალე სიყვარულის უღრმესი ემოციები, ბოროტი ეჭვიანობა და ტრაგედია. ამ რომანტიზირებული ეპიკის ფონზე უდიდესი ოსტატობით არის მოხაზული აბესალომ და ეთერის ლირიკული თემების ქარგა, რომლის ერთმანეთში გადახლართული ხაზები ჰქმნიან მათი ფაქიზი სიყვარულისა და მურმანის ეჭვიანობის შესახებ თქმულების შესანიშნავ რთულ ქსოვილს, ასე შეუდარებლად გადმოცემულს მუსიკალური ენით.

ოპერა „აბესალომ და ეთერის" მუსიკალური ენა არა მარტო ეყრდნობა ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას, არამედ თავისი ფესვებით ღრმად სწვდება მის წიაღს.

შეუძლებელია არ გაგიტაცოს ამ ნაწარმოების კეთილშობილმა რომანტიკამ, შეუძლებელია სულის სიღრმემდე არ იგრძნო მუსიკისა და თვით თქმულების მაღალი პოეზია. ამიტომ ჩვენი ამოცანა იყო ამომწურავად გამოგვევლინა სპექტაკლში მუსიკის ეს თვისებები.

აბესალომ და ეთერის მოულოდნელი პოეტური შეხვედრა, მათი გულწრფელი სიყვარული, მათი ქორწილი, რომელიც მურმანის ბოროტი შემოჭრით დაიღრუბლა, აბესალომის ტრაგიკული სევდა და, ბოლოს, აბესალომისა და ეთერის სიკვდილი, რაც მიჯნურობაში ერთგულებისა და თავდადების სიმბოლოდ არის ქცეული,—აი სპექტაკლის ის ძირითადი ეტაპები, რომელთა შესახებ ჩვენ გვსურს სცენის რეალისტური საშუალებებით მოვუთხროთ მაყურებელს.

იმისათვის, რომ დაგვეძლია ის სიუჟეტური სტატიურობა, რაც გამოწვეულია ლიბრეტოს ავტორის სურვილით ჩასტიოს ერთი სპექტაკლის ფარგლებში დიდი ლეგენდა, — ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვემდიდრებინა მეორე აქტი მოქმედებით, რისთვისაც გამოვიყენეთ ძველი ქართული ჩვეულებანი — ყარბაზობა, ნადიმობა და სხვ. იმავე დროს აღდგენილია დედინაცვლისა და ეთერის სცენა (მე-3 სურათი) და ეთერისა და აბესალომის უკანასკნელი შეხვედრის სცენა (მეოთხე მოქმედება).

ოპერაში სათანადო ადგილი უკავია ქორეოგრაფიულ ნაწილს, რომელიც მთლიანად აგებულია ნამდვილი ხალხური მასალის საფუძველზე. ქორეოგრაფიული ნაწილი შეიცავს სამ ცეკვას: სადარბაზო ლეკური, მირზაია და მხედრული. დამდგმელი ჯგუფი შეეცადა, რომ ცეკვა გადაქცეულიყო სპექტაკლის ორგანულ შემადგენელ ნაწილად, რომ იგი გამოყენებული ყოფილიყო დრამატიული განვითარებისათვის, რის გამო ფინალური საცეკვაო მუსიკა გამოყენებულია როგორც მეორე აქტის დრამატიული ფინალი, რომელიც კავშირს ამყარებს მესამე აქტთან. სამივე ცეკვაში დაცულია არა მარტო მოძრაობათა ხასიათი, არამედ მთლიანი ნახაზის საერთო სტილი და ხასიათი. განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ მირზაიას, რომელიც ირანული წარმოშობისაა, მაგრამ ასიმილირების შემდეგ ჩვენში გარდაქმნილია დამოუკიდებელ ცეკვად.

ოპერის ცალკე აქტების და სურათების საერთო კომპოზიციის ყველა მომენტი და ყველა მიზანსცენა აგებულია მუსიკალურ ქარგასთან შეფარდებით და სცენიური სახეები გამოძერწილია მუსიკალური სახეების გამოკვეთის საშუალებით.

ის გარემოება, რომ „აბესალომ და ეთერი" ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშია, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ჩვენს დამდგმელ ჯგუფს—სოლისტებს, გუნდის, ორკესტრისა და ბალეტის მსახიობებს, ტექნიკური საამქროების კოლექტივებს. თუ როგორ მივაღწიეთ მიზანს, ამას თვით სპექტაკლი გვიჩვენებს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და სპექტაკლის დირიჟორი **გრ. კილაძე.**
რეჟისორი **მ. კვალიაშვილი,**
მხატვარი **ე. ახვლედიანი,**
ბალეტმეისტერი **დ. ჯავრიშვილი.**

## სამეცნიერო სესია სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის საკითხებზე

18, 19 და 20 ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა საქ. სსრ განსახკომის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სათამაშოებისა და დიდაქტიკური მასალების სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის პირველი სამეცნიერო სესია. სესია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა აკად. დ. უზნაძემ.

ლაბორატორიის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ლაბორატორიის გამგე დოც. ბ. ხაჭაპურიძე. მან დაწვრილებით ილაპარაკა ლაბორატორიის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე დიდაქტიკური მასალებისა და ბავშვთა სათამაშოების მოდელების შექმნაში, მათ მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებაში და დიდაქტიკური მასალის ასაკობრივად განაწილების საქმეში. მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ გარდაჰქმნა ლაბორატორიამ სამამულო ომის დღეებში თავისი მუშაობა სრულიად ახალი, გასამხედროებული სათამაშოების შესაქმნელად. ლაბორატორიის მიერ შექმნილი ასეთი სათამაშოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „საზენიტო ბატარია", „სანაპირო ბატარია" და სხვ. ამ სათამაშოების მიზანია ბავშვს გართობის გარდა განუვითაროს ნებისყოფა და სიზუსტე, ჩაუნერგოს პატრიოტული გრძნობა და ვერაგი მტრისადმი სიძულვილი.

ლაბორატორიის მიერ შექმნილ სათამაშოთა აღმზრდელობითი ეფექტიანობის შესახებ სესიამ მოისმინა პროფ. რ. ნათაძის ორი მოხსენება: ინტელექტუალური ოპერაციების განვითარების შესაძლებლობანი სკოლამდელ ასაკში და ზოგად ცნებათა ლოტოს პედაგოგიური ეფექტიანობა.

ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკებმა ქ. მაჩაბელმა და ნ. ლევავამ კვლევითი ხასიათის მოხსენება გააკეთეს ორ ექსპონატზე—„საზენიტო და სანაპირო ბატარია". ამ ექსპონატების ირგვლივ ილაპარაკეს აგრეთვე საბავშვო ბაღების გამგეებმა თ. ერისთავმა, ნ. უნაფქოშვილმა, პედაგოგმა პ. ქურუკაშვილმა და იმერლიშვილმა, რომლებმაც ამ სათამაშოთა დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნეს მათი სირთულე და მოითხოვეს დიდაქტიკურ მასალათა გამარტივება.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა გ. ახვლედიანმა, დ. უზნაძემ, პროფესორებმა რ. ნათაძემ, გ. თავზიშვილმა. ვ. თოფურიამ, რ. ნიკოლაძემ, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის თანამშრომლებმა, საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა.

სესიის სხდომების დროს, პირველი საბავშვო ბაღის შენობაში მოწყობილი იყო ლაბორატორიის მიერ დამუშავებული ექსპონატების გამოფენა.

მ. ბ.

## თეატრებში

**26 ნოემბერს:** **სახოპერა** — „აბესალომ და ეთერი" (პრემიერა). **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის სახელობის** — „მაშენკა". **ხომხური თეატრი** — „აღმოსავლეთის დანტისტი". **ახუნდოვის სახელობის** — „ოქტაი ელ ოღლუ". **მუსიკალური კომედიის** — „ხაჯარათი". **სანკულტურის** — „პირისპირ". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „რომეო და ჯულიეტა". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო".

## ლექციები და მოხსენებები

**26 ნოემბერს, სად. 7 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) სამეურნეო აქტივისათვის შესდგება **ამხ. გველესიანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„როგორ შევამციროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება".**

შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**მ. ხატიაშვილი**

სასადილო „სიცოცხლის" კოლექტივი იუწყება ვალოდია და ჯიმშეთ კალანდარიშვილების ბიძაშვილის

**ლეონიდე კალანდარიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/XI, სოფ. მაკვანეთაში. 1528

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის მე-18 საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან მასწავლებელ

**მარიამ კონსტანტინეს-ასულ სალუქვაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/XI, 7 ს. გამოსვენება 26/XI, 5½ ს. ბელინსკის ქ. № 2. დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1519

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მე-5 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის (ზესტაფონი) მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან უბნის უფროს

**გრიშა მელიქსედის-ძე კალანდაძის**

გარდაცვალებას. 1520

საქ. კოოპინკავშირის სისტემის არტელ „ინსინათლის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ვახტანგ ლეკიშვილის სიძის

**ნიკოლოზ (კოლია) პორფილეს-ძე ბოჭორიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 27/XI, ჩუღურეთის შესახ. № 16. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1522

თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სასამართლო-პროკურატურა იუწყება ამავე რაიონის მოსამართლე შალვა კოკილაშვილის მამის

**ალექსანდრე ზაქარიას-ძე კოკილაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/XI, 7 ს. ბოჭორიშვილის ქ. № 23. გამოსვენება 26/XI, 5 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1523

საქ. ფილარმონიის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ ალექსანდრე გეგეჭკორის მამის

**სტეფანე გიორგის-ძე გეგეჭკორის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გეგეჭკორში. 1526

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 11059